

„მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონში შეტანილი ცვლილებების მიზანშეწონილობის შეფასება

ადამიანის უფლებათა ცენტრი ეხმიანება 2023 წლის 19 ოქტომბერს პარლამენტის მიერ დაჩქარებული წესით „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ კანონპროექტის მესამე მოსმენით მიღებას. ცვლილება შეეხო თვითრეგულირების ორგანოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრების წესს, რომლის თანახმად, უხამსობის, სიძულვილის ენის და ტერორიზმისკენ მოწოდების შემცველი პროგრამისა და რეკლამის გავრცელების შემთხვევებში, შესაძლებელი გახდა მაუწყებლობის თვითრეგულირების ორგანოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებების კომისიაში გასაჩივრება¹. 2023 წლის 3 ნოემბერს, საქართველოს პრეზიდენტმა, სალომე ზურაბიშვილმა კანონს „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე ხელი მოაწერა².

საქართველოს კანონი მაუწყებლობის შესახებ განსაზღვრავს მედიამომსახურებისა და ვიდეოგაზიარების პლატფორმის მომსახურების მიწოდების განხორციელების წესს, ასევე ეროვნული მარეგულირებელი ორგანოს ფუნქციებს. კანონის მიზანია სახელმწიფო ჩარევისგან დამოუკიდებელი საზოგადოებრივი მაუწყებლობის ფორმირება. ასევე, კანონი მიზნად ისახავს მედიამომსახურებისა და ვიდეოგაზიარების პლატფორმის მომსახურების სფეროებში ეროვნული მარეგულირებელი ორგანოს მეშვეობით საქმიანობის რეგულირებას გამჭვირვალობის, სამართლიანობისა და მიუკერძოებლობის პრინციპების შესაბამისად³. რაც შეეხება საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულ კომისიას, ის არეგულირებს მედიამომსახურებისა და ვიდეოგაზიარების პლატფორმის მომსახურების სფეროებში საქმიანობას⁴.

მაუწყებლობის შესახებ საქართველოს კანონის აქამდე არსებული რედაქციით, ფაქტის ჯეროვანი სიზუსტის; სამართლიანობისა და მიუკერძოებლობის; სიძულვილის ენის და ტერორიზმისკენ მოწოდების შემცველი პროგრამისა და რეკლამის გავრცელების; პროგრამული შეზღუდვების; ახალი ამბებისა და საზოგადოებრივ-პოლიტიკური პროგრამების განთავსების წესების; ეთიკური ნორმებისა და პროფესიული სტანდარტების დარღვევის შემთხვევებში რეაგირება

¹ პარლამენტმა „მაუწყებლობის შესახებ“ კანონში ცვლილება მესამე მოსმენით მიიღო; parliament.ge; 19.10.2023. იხ.

<https://shorturl.at/gjrl4>; (ბოლო ნახვა 07.11.2023)

² პრეზიდენტმა „მაუწყებლობის შესახებ“ კანონში ცვლილებებს ხელი მოაწერა; Interpressnews.ge; 03.11.2023; იხ.

<https://shorturl.at/avzFN>; (ბოლო ნახვა 07.11.2023)

³ საქართველოს კანონი „მაუწყებლობის შესახებ“, მ. 1.

⁴ საქართველოს კანონი „მაუწყებლობის შესახებ“, მ. 5.

ხორციელდებოდა მხოლოდ თვითრეგულირების მექანიზმის ფარგლებში, რაც გულისხმობს, რომ მაუწყებელი აღნიშნულ დარღვევებთან მიმართებაში ქცევის კოდექსის საფუძველზე თავად უზრუნველყოფდა საჩივრების განხილვასა და მათზე რეაგირებას. ხოლო, თვითრეგულირების მექანიზმის ფარგლებში მიღებული გადაწყვეტილებების სასამართლოში, კომისიაში ან სხვა ადმინისტრაციულ ორგანოში გასაჩივრება დაუშვებელი იყო.

2023 წლის 19 ოქტომბერს პარლამენტის მიერ მიღებული ცვლილებების თანახმად, უხამსობის, სიძულვილის ენის და ტერორიზმისკენ მოწოდების შემცველი პროგრამისა და რეკლამის გავრცელების აკრძალვასთან დაკავშირებული დარღვევის თაობაზე მაუწყებლის თვითრეგულირების ორგანოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებების კომისიაში გასაჩივრების შედეგად, კომისიის მიერ დარღვევის დადგენის შემთხვევაში, კომისია უფლებამოსილია, რეაგირება მოახდინოს მაუწყებლობის შესახებ კანონის IX თავით დადგენილი წესით, რაც კომისიას აძლევს უფლებამოსილებას, რომ, მაგალითად, დამრღვევს დააკისროს მისი წლიური შემოსავლის არაუმეტეს 0,5%-ის ოდენობის და არანაკლებ 2 500 ლარის ოდენობის ჯარიმა⁵. აქვე აღსანიშნავია, რომ მაუწყებლობის შესახებ კანონის მე-8 მუხლის მე-7 პუნქტის მიხედვით, კომისიის სამართლებრივი აქტი შეიძლება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით გასაჩივრდეს სასამართლოშიც.

ამ საკანონმდებლო ცვლილებების შედეგად, იზრდება კომუნიკაციების კომისიის უფლებამოსილებები, რაც კომისიის დამოუკიდებლობასთან დაკავშირებული შეკითხვების ფონზე, ზრდის გამოხატვის თავისუფლების უკანონოდ შეზღუდვის რისკებს.

საქართველოსთვის, როგორც ევროპის საბჭოს წევრი ქვეყნისთვის, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციას სავალდებულო ხასიათი აქვს. კონვენციის მე-10 მუხლის მიხედვით, „ყველას აქვს აზრის გამოხატვის თავისუფლება. ეს უფლება მოიცავს ადამიანის თავისუფლებას, გააჩნდეს საკუთარი შეხედულება, მიიღოს ან გაავრცელოს ინფორმაცია ან იდეები საჯარო ხელისუფლების ჩაურევლად და სახელმწიფო საზღვრების მიუხედავად.“ ასევე, საქართველოს კონსტიტუციის მე-17 მუხლის მიხედვით, მასობრივი ინფორმაციის საშუალებები თავისუფალია, ხოლო ცენზურა დაუშვებელია. სახელმწიფოს ან ცალკეულ პირებს არ აქვთ მასობრივი ინფორმაციის ან მისი გავრცელების საშუალებათა მონოპოლიზაციის უფლება.

2023 წლის თებერვალში გამოქვეყნებული ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებათა და კანონის უზენაესობის გენერალური დირექტორატის სამართლებრივი დასკვნის თანახმად, საქართველოს მაუწყებლობის შესახებ კანონის რამდენიმე სფერო არ შეესაბამება ევროკავშირისა და ევროპის საბჭოს სტანდარტებს, რადგან არსებობს

⁵ საქართველოს კანონი, „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე; იხ. <https://shorturl.at/chBH2>.

მთელი რიგი დებულებები, რომლებიც, სავარაუდოდ, არღვევს ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის მე-10 მუხლს. ასევე, 2014 წელს საქართველო გახდა ევროკავშირის ასოცირების შეთანხმების ხელმძღვანელი მხარე, რაც გულისხმობს, რომ საქართველოს კანონმდებლობა შესაბამისობაში უნდა იყოს ევროკავშირის აუდიოვიზუალური მედია მომსახურების დირექტივასთან (AVMSD)⁶. თუმცა, საქართველოს მაუწყებლობის შესახებ კანონთან დაკავშირებით, ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებათა და კანონის უზენაესობის გენერალური დირექტორატის სამართლებრივ დასკვნაში აღნიშნულია, რომ დირექტივაში გაწერილი კრიტერიუმებისა და ევროპის საბჭოს სტანდარტების გათვალისწინებით, კომუნიკაციების კომისია დამოუკიდებელი ორგანო არ არის⁷.

კომუნიკაციების კომისიის დამოუკიდებლობას, გამჭვირვალობას და ეფექტურ მუშაობას ეჭვქვეშ აყენებს მაუწყებლობის შესახებ კანონში არსებული რიგი ხარვეზები, რომელთაგან აღსანიშნავია შემდეგი:

1. მაუწყებლობის შესახებ კანონის მე-9 მუხლის მე-10 და მე-14 პუნქტების მიხედვით, კომისიის წევრების კანდიდატთა სიას მთავრობა პრეზიდენტს წარუდგენს პარლამენტისთვის ასარჩევად. ხოლო პარლამენტი წევრებს ირჩევს საპარლამენტო უმრავლესობით. საბჭოს დასკვნაში აღნიშნულია, რომ მთავრობა არ ადგენს გამჭვირვალე პროცედურებით კომუნიკაციების კომისიის წევრობის კანდიდატთა სიას. ვინაიდან მთავრობას შესაძლებლობა აქვს თავად დაადგინოს, თუ რომელი კანდიდატი აკმაყოფილებს კრიტერიუმებს. შესაბამისად, შერჩევის პროცესი პოლიტიკურ ხასიათს იძენს. ხოლო, იმ პირობებში, როცა მმართველი პარტია საპარლამენტო უმრავლესობას წარმოადგენს, გამოდის, რომ კომისიის ყველა წევრი წარდგენილი და შერჩეულია თავად მმართველი პარტიის მიერ. ეს კი ეწინააღმდეგება, ერთი მხრივ, ევროპის საბჭოს სტანდარტებს მარეგულირებელი ორგანოების დამოუკიდებლობის შესახებ⁸, ხოლო, მეორე მხრივ, AVMSD-ის 30-ე მუხლის დამოუკიდებლობასთან დაკავშირებულ მოთხოვნებს⁹.
2. მაუწყებლობის შესახებ კანონის მე-10 მუხლი ითვალისწინებს კომისიის წევრის თანამდებობიდან გათავისუფლებას საქართველოს პარლამენტის რეგლამენტით გათვალისწინებული წესის შესაბამისად. მათ შორის, მძიმე

⁶ Directive (EU) 2018/1808 of the European Parliament and of the Council of 14 November 2018; <https://shorturl.at/otPZ2>

⁷ ადამიანის უფლებათა და კანონის უზენაესობის გენერალური დირექტორატის დასკვნა საქართველოს კანონზე მაუწყებლობის შესახებ; საინფორმაციო საზოგადოებისა და დანამაულის წინააღმდეგ ბრძოლის დირექტორატი; სტრასბურგი; (2023); გვ. 10 ; იხ.: <https://shorturl.at/dvxDH> (ბოლო ნახვა:13.11.2023)

⁸ იხ: რეკომენდაცია Rec(2000)23 და მინისტრთა საბჭოს 2008 წლის 26 მარტის დეკლარაცია სამაუწყებლო სექტორის მარეგულირებელ ორგანოთა დამოუკიდებლობისა და ფუნქციების შესახებ.

⁹ ადამიანის უფლებათა და კანონის უზენაესობის გენერალური დირექტორატის დასკვნა საქართველოს კანონზე მაუწყებლობის შესახებ; საინფორმაციო საზოგადოებისა და დანამაულის წინააღმდეგ ბრძოლის დირექტორატი; სტრასბურგი; (2023); გვ. 11, 22; იხ.: <https://shorturl.at/dvxDH> (ბოლო ნახვა:13.11.2023)

დანაშაულისთვის მსჯავრდების შემთხვევაში, კომისიის წევრების თანამდებობიდან გათავისუფლება პარლამენტის ხმათა უმრავლესობას საჭიროებს. აქედან გამომდინარე, „პრივილეგირებული პოზიციის გამო, კომისიის წევრები პარლამენტის, კერძოდ, მმართველი პარტიის მიმართ დავალებულ მდგომარეობაში ხვდებიან, რაც ძირს უთხრის მათი დამოუკიდებლობის აღქმას.“¹⁰ ასევე, პრობლემურია, რომ, თუკი კომისიის წევრს აქვს აშკარა ინტერესთა კონფლიქტი ან დროთა განმავლობაში არ ასრულებს საკუთარ მოვალეობებს, მისი თანამდებობიდან გათავისუფლების საკითხი პარლამენტის წევრთა მესამედმა უნდა განიხილოს და სამმა მეხუთედმა დაამტკიცოს კენჭისყრით. ეს კი იმას გულისხმობს, რომ თუკი პირი არ ცხადდება და ვერ ასრულებს დაკისრებულ მოვალეობებს, აქვს ინტერესთა კონფლიქტი, ან მსჯავრდებულია მიძიმე დანაშაულისთვის, პოლიტიკური ნების არსებობის შემთხვევაში, ის შესაძლოა კვლავ დარჩეს თანამდებობაზე. ეს ყოველივე ექვეყნე აყენებს, ერთი მხრივ კომისიის წევრების პოლიტიკურ დამოუკიდებლობას, ხოლო, მეორე მხრივ, მათ სანდოობასა და რეპუტაციას. მნიშვნელოვანია, რომ ამ შემთხვევებში, გათავისუფლების საკითხი არ წყდებოდეს კენჭისყრით. ასევე, გათავისუფლების პროცედურები ნათლად უნდა იყოს განსაზღვრული მაუწყებლობის შესახებ კანონში. დამატებით, კარგი იქნებოდა უფლებამოსილების შეწყვეტად განისაზღვროს მოვალეთა რეესტრში რეგისტრაცია. კერძოდ, ევროპაში მიღებული პრაქტიკაა კომისიის წევრთა გათავისუფლება მათი ფინანსური პრობლემების გამო, რადგან მარეგულირებელი, რომელიც ვერ ახერხებს ვალების გადახდას, შესაძლოა გახდეს კორუმპირებულ ქმედებათა სუბიექტი¹¹.

3. მაუწყებლობის შესახებ კანონის მე-6 მუხლის მე-5 პუნქტის მიხედვით, კომისიის წევრის დაკავება, დაპატიმრება, ან გაჩხრეკა შეიძლება მხოლოდ საქართველოს პარლამენტის თანხმობით. ხოლო, თუ პარლამენტი არ მისცემს თანხმობას, დაკავებული ან დაპატიმრებული კომისიის წევრი დაუყოვნებლივ უნდა გათავისუფლდეს. ექსპერტთა დასკვნაში აღნიშნულია, რომ არ არსებობს მსგავსი ევროპული დებულება და საჭიროა ამ მუხლის კანონიდან ამოღება, რადგან ის ხაზს უსვამს პარლამენტსა და კომუნიკაციების კომისიას შორის არსებულ უნიკალურ ურთიერთობას, რაც ეწინააღმდეგება კომისიის დამოუკიდებლობის იდეას¹².
4. მაუწყებლობის შესახებ კანონის მე-9 მუხლის მე-6 პუნქტის მიხედვით, „კომისიის წევრობის კანდიდატი უნდა იყოს საზოგადოებრივი აღიარებისა და ნდობის მქონე პირი.“ ბუნდოვანების გამო რეკომენდებულია ამ მახასიათებლების ამოღება¹³. ასევე, კომისიის წევრების შესარჩევად არ არის

¹⁰ იქვე გვ. 11

¹¹ იქვე გვ. 22

¹² იქვე გვ. 19

¹³ იქვე გვ. 21

მოთხოვნილი კანდიდატის მიერ კონკრეტულად ელექტრონული კომუნიკაციების შესაბამის სფეროთა რეგულირების გამოცდილება¹⁴, რამაც შესაძლოა კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენოს კომისიის წევრების კვალიფიკაცია.

5. შესაძლოა პრობლემური იყოს კომისიის წევრთა უფლებამოსილების ვადაც. კერძოდ, მაუწყებლობის შესახებ კანონის მე-9 მუხლის მიხედვით, კომისიის წევრის უფლებამოსილების ვადა 6 წელია, ხოლო წევრის 2-ზე მეტი ვადით არჩევა დაუშვებელია. შესაბამისად, კომისიის წევრები შესაძლოა 12 წლის ვადით იყვნენ არჩეულნი, რაც ევროპის საბჭოს დირექტორატის დასკვნის მიხედვით, უაღრესად გრძელ ვადას წარმოადგენს¹⁵. რეკომენდირებულია კომისიის წევრის უფლებამოსილების ვადის შემცირება ან 6 წლით დანიშვნა ხელმეორედ არჩევის შესძლებლობის გარეშე¹⁶.
6. მაუწყებლობის შესახებ კანონის მე-7 მუხლის მე-7 პუნქტის მიხედვით, კომისია უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება, თუ სხდომას ესწრება კომისიის სიითი შემადგენლობის უმრავლესობა. ხოლო გადაწყვეტილების მიღება ხმათა უმრავლესობით ხდება. იქიდან გამომდინარე, რომ კომისიის შემადგენლობაში მხოლოდ 5 წევრია, კვორუმი გადაწყვეტილების მისაღებად მიიღწევა 2 ხმითაც, რაც მარეგულირებელი ორგანოს მიერ გადაწყვეტილების მისაღებად ძალიან ცოტაა¹⁷. დასკვნაში აღნიშნულია, რომ ექსპერტებს არ შეხვედრიათ მსგავსი მარეგულირებელი ორგანო, რომელსაც ასეთი შესაძლებლობა აქვს, ამიტომ რეკომენდებულია კომისიის წევრთა რაოდენობის გაზრდა და გადაწყვეტილებათა სიითი შემადგენლობის უმრავლესობით მიღება¹⁸. მოცემულ პირობებში, შესაძლოა შეიქმნას კომისიის მიერ კანონთან შეუსაბამო გადაწყვეტილებების მიღების საფრთხე.
7. მაუწყებლობის შესახებ კანონის მე-13 მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, პარლამენტი უფლებამოსილია, გადაწყვიტოს კომისიის მიერ დამტკიცებული ბიუჯეტის შესრულების აუდიტის ჩატარება, ხოლო აუდიტორის საკომპენსაციო სახსრებს გაიღებს კომისია. „კვლავაც, ეს ძირს უთხრის კომისიის დამოუკიდებლობის აღქმას... კომისიამ თავად უნდა დააორგანიზოს საკუთარი ფინანსური საქმიანობის ყოველწლიური დამოუკიდებელი აუდიტი.“¹⁹

საქართველოში ევროკავშირის ელჩის განცხადების თანახმად, საკანონმდებლო ცვლილებებში არსებული ელემენტების პრაქტიკაში განხორციელება უაღრესად მნიშვნელოვანია, მაგრამ „რაც აბსოლუტურად აუცილებელია, არის ეროვნული

¹⁴ იქვე გვ. 11

¹⁵ იქვე გვ. 11

¹⁶ იქვე გვ. 21

¹⁷ იქვე გვ. 9

¹⁸ იქვე გვ. 18

¹⁹ იქვე გვ. 23

მარეგულირებლის დამოუკიდებლობა.²⁰ ხოლო, ზემოთ განხილული სტრუქტურული დამოუკიდებლობის არარსებობის პირობებში, კომუნიკაციების კომისიის ძალაუფლების კონცენტრაციის შედეგად, იზრდება რისკები გამოხატვის თავისუფლების უკანონოდ შეზღუდვასა და ძალაუფლების ბოროტად გამოყენებასთან მიმართებაში. ამ რისკების თავიდან ასაცილებლად მნიშვნელოვანია, რომ, პირველ რიგში, თავად მედია აცნობიერებდეს მისთვის დადგენილ საზღვრებს, მათ შორის, უხამსობასა და სიძულვილის ენასთან არსებულ რეგულაციებთან მიმართებაში. თუმცა, ამ შემთხვევაში, გამოხატვის თავისუფლების უკანონოდ შეზღუდვის რისკები კიდევ უფრო იზრდება, ვინაიდან არ არსებობს მკაფიოდ დადგენილი ნორმები და განჭვრეტადი რეგულაციები.

მაუწყებლობის შესახებ კანონის მე-2 (3¹²) მუხლის მიხედვით, უხამსობა არის ქმედება, რომელიც ეწინააღმდეგება საზოგადოებაში დამკვიდრებულ ეთიკურ ნორმებს და არ აქვს საზოგადოებრივ-პოლიტიკური, კულტურული, საგანმანათლებლო ან მეცნიერული ღირებულება. „უხამსობა“ არ არის განსაზღვრული მაუწყებელთა ქცევის კოდექსში. საკანონმდებლო ცვლილების მიღებამდე, მაუწყებლის შესახებ კანონის პროგრამული შეზღუდვების(56.4) მუხლით იკრძალებოდა ღირსებისა და ძირითად უფლებათა შემლახავი ისეთი პროგრამის ან რეკლამის განთავსება, რომელიც შეიცავდა უხამსობას. საკანონმდებლო ცვლილების შემდეგ, ამ რეგულირებამ გადაინაცვლა მავნე ზეგავლენისგან არასრულწლოვნის დაცვის 56-ე პრიმა მუხლის მესამე პუნქტში, სადაც აღნიშნულია, რომ პუნქტით გათვალისწინებული პროგრამა ან რეკლამა შეიძლება განთავსდეს მხოლოდ კოდირებული ფორმით, ხოლო მოთხოვნების დარღვევის შემთხვევაში, 59-ე მუხლის თანახმად, კომისია უფლებამოსილია შესაბამისი რეაგირება მოახდინოს ამ დარღვევაზე.

ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებათა და კანონის უზენაესობის გენერალური დირექტორატის სამართლებრივი დასკვნის თანახმად, მხოლოდ პორნოგრაფია უნდა გადაიცეს კოდირებული ფორმით. ასევე, მნიშვნელოვანია, ერთმანეთისგან გაიმიჯნოს რეკლამები და პროგრამები. მართალია, დირექტივის მე-9 მუხლი ავალდებულებს წევრ სახელმწიფოებს, რომ კომერციულმა კომუნიკაციებმა არ უნდა დააზიანონ ადამიანის პატივი და ღირსება, თუმცა ეს ვალდებულება არ ვრცელდება პროგრამებზე. შესაბამისად, არ უნდა აიკრძალოს უხამსი ქმედებისა და შეურაცხმყოფელი ენის შემცველი პროგრამების განთავსება, არამედ, უმჯობესია, მსგავსი პროგრამების ჩვენება დასაშვები იყოს დროის ისეთ მონაკვეთში, როცა, სავარაუდოდ, მას ბავშვები ვერ ნახავენ.²¹ მეტიც, საქართველოში ევროკავშირის წარმომადგენლობა გამოეხმაურა საკანონმდებლო ცვლილებას და აღნიშნა, რომ

²⁰“კაველ ჰერჩინსკი - იმედი მაქვს, რეკომენდაციები დადებითი იქნება...”; 28.10.2023; იხ. <https://shorturl.at/uGLV3> (ბოლო ნახვა 13.11.2023)

²¹ ადამიანის უფლებათა და კანონის უზენაესობის გენერალური დირექტორატის დასკვნა საქართველოს კანონზე მაუწყებლობის შესახებ; საინფორმაციო საზოგადოებისა და დანამაულის წინააღმდეგ ბრძოლის დირექტორატი; სტრასბურგი; (2023); გვ. 38 ; იხ.: <https://shorturl.at/dvxDH> (ბოლო ნახვა:13.11.2023)

„უხამსობის“ ცნება დირექტივის ნაწილი არ არის და, შესაბამისად, არც მისი რეგულირების საჭიროება არსებობს²².

პრაქტიკაში ისედაც მოიძებნებოდა მაგალითი, როცა 2021 წელს კომუნიკაციების კომისიამ, კანონის საწინააღმდეგოდ განიხილა „მთავარი არხის“ ეთერში გასული პოლიტიკური სატირის შემცველი სიუჟეტი. იმ პერიოდში, რომ არაფერი ვთქვათ კომისიის მიერ არხის სამართალდამრღვევად ცნობისთვის საჭირო უფლებამოსილების არარსებობაზე, კომისიას საკანონმდებლო დონეზე ჯერ კიდევ არ ჰქონდა მსგავსი საკითხის განხილვის უფლებამოსილება კი²³.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 10 ნოემბრის გადაწყვეტილებაში აღნიშნულია, რომ თუკი უხამსობის შემცველი პროგრამა ლახავს ადამიანისა და მოქალაქის ღირსებას და ძირითად უფლებებს, მნიშვნელოვანია, აღნიშნულ პირს ეძლეოდეს სასამართლოსათვის მიმართვის უფლება. ეს მიდგომა კონკრეტული ინდივიდის უფლებების აღდგენას ისახავს მიზნად. თუმცა, სასამართლო არსად აღნიშნავს, რომ ასეთი საკითხის განხილვის უფლებამოსილება, მითუმეტეს, საკუთარი ინიციატივით გააჩნია ადმინისტრაციულ ორგანოს²⁴.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო აღნიშნავს, რომ „გამოხატვის თავისუფლების შემზღვეველი ნორმები უნდა იყოს გათვალისწინებული ნათელი და განჭვრეტადი, ვიწროდ მიზანმიმართული კანონით... ზნეობრიობის საკითხების სასამართლო წესით განსჯადობა უარყოფით ეფექტს იქონიებს მაუწყებლის თავისუფლებაზე იმდენად, რამდენადაც, უმეტეს შემთხვევაში, ძნელია ობიექტურად იმის განსაზღვრა, რა შეესაბამება ზნეობრივ ნორმებს და რა არა. ასეთი საკითხების სასამართლო წესით განსჯადობა გამყინავ ეფექტს იქონიებს მაუწყებლის თავისუფლებაზე და შედეგად დააზარალებს მთლიანად საზოგადოებას.“²⁵ საგულისხმოა, რომ მაუწყებლობის შესახებ კანონის 56-ე პრიმა მუხლის მეორე და მესამე პუნქტის თანახმად, მაუწყებელს ეკრძალება ისეთი პროგრამის გადაცემა ან პროგრამაში ისეთი მასალის განთავსება, რომელმაც შეიძლება ზიანი მიაყენოს არასრულწლოვნის ფიზიკურ, ფსიქოლოგიურ, ინტელექტუალურ და სულიერ განვითარებას, აგრეთვე მის ფსიქიკურ და ფიზიკურ ჯანმრთელობას. ასევე, აკრძალულია ისეთი პროგრამის გადაცემა ან პროგრამაში ისეთი მასალის განთავსება, რომელმაც შეიძლება ზიანი მიაყენოს არასრულწლოვნის სოციალიზაციას. ამ შემთხვევაში, გამოხატვის თავისუფლების

²² ევროკავშირის წარმომადგენლობა აცხადებს, რომ "უხამსობის" რეგულირება ევროდირექტივის ნაწილი არ არის; 27.10.2023; <https://shorturl.at/lqAC3> (ბოლო ნახვა: 13.11.2023)

²³ „GDI-ს განცხადება კომუნიკაციების კომისიისთვის მანდატის გაზრდასთან დაკავშირებით“ 19.10.2023; იხ. <https://shorturl.at/sFY59> (ბოლო ნახვა: 13.11.2023)

²⁴ „კომუნიკაციების კომისია პროგრამის შინაარსის განხილვით კანონს არღვევს“ 28.01.2021; იხ. <https://shorturl.at/aeG68> (ბოლო ნახვა: 13.11.2023)

²⁵ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 10 ნოემბრის N 1/3/421,422 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები - გიორგი ყიფიანი და ავთანდილ უნგიაძე საქართველოს ჰარლამენტის წინააღმდეგ“, II.3.7

შემზღვეველი ნორმები არ არის განჭვრეტადი, არ არის ნათელი თუ რამ შეიძლება მიაყენოს სულიერი ზიანი არასრულწლოვანს, ან რამ შეიძლება შეაფერხოს მისი სოციალიზაცია. კანონში და ქვეყნის კოდექსში არ არის განმარტებული „არასრულწლოვანთა სოციალიზაცია“. ევროპის საბჭოს საექსპერტო დასკვნის თანახმად, 56-ე პრიმა მუხლი უნდა შესწორდეს და „სულიერის“ ნაცვლად, გამოყენებული იყოს სიტყვა „მორალური“, რადგან მნიშვნელოვანია, რომ კანონში გამოიყენებოდეს არასრულწლოვანთა ფიზიკური, ფსიქიკური ან მორალური განვითარების ის ფორმულირება, რომელიც ასახულია ევროდირექტივაში²⁶.

მართლაც, ევროდირექტივის 6a მუხლი ეხება წევრი სახელმწიფოების ვალდებულებას, მიიღონ ზომები, რათა საფრთხე არ შეექმნას არასრულწლოვანთა ფიზიკურ, გონებრივ ან მორალურ განვითარებას. ამის უზრუნველსაყოფად, აკრძალვის ნაცვლად, შესაძლებელია გადაცემისთვის დროის სწორად შერჩევა, მაყურებლის ასაკის გადამოწმება ან სხვა ტექნიკური საშუალებების გამოყენება. თუმცა, ეს ზომები უნდა იყოს პროგრამის მიერ გამოწვეული პოტენციური ზიანის პროპორციული. ასევე, მნიშვნელოვანია, რომ არასრულწლოვანთა დაცვის მიზნით, ამ პუნქტში არსებული წესების დასაცავად, სახელმწიფოებმა წახალისონ თანარეგულირების მექანიზმის გამოყენება.

თანარეგულირების მექანიზმის გამოყენება ასეთივე მნიშვნელოვანია სიძულვილის ენის დასარეგულირებლად. სიძულვილის ენის და ტერორიზმისკენ მოწოდების შემცველი პროგრამისა და რეკლამის აკრძალვა „მაუწყებლობის შესახებ“ კანონს 55² მუხლის სახით 2022 წლის 22 დეკემბერს დაემატა. სიძულვილის ენა არ არის გამოხატვის თავისუფლებით დაცული ფორმა და ის აკრძალულია ერთი მხრივ, ევროდირექტივით, ხოლო, მეორე მხრივ, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 239-ე პრიმა მუხლით, რომლის თანახმად, დასჯადია „რასობრივი, რელიგიური, ეროვნული, კუთხური, ეთნიკური, სოციალური, პოლიტიკური, ენობრივი ან/და სხვა ნიშნის მქონე პირთა ჯგუფებს შორის განხეთქილების ჩამოსაგდებად ძალადობრივი ქმედებისაკენ ზეპირად, წერილობით ან გამოხატვის სხვა საშუალებით საჯაროდ მოწოდება, თუ ეს ქმნის ძალადობრივი ქმედების განხორციელების აშკარა, პირდაპირ და არსებით საფრთხეს“.

საქართველოს კომუნიკაციების კომისიის მიერ სამაუწყებლო მედიაში სიძულვილის ენის რეგულირება გარკვეულ გამოწვევებთან არის დაკავშირებული, რადგან „სიძულვილის ენის“ ფართო განმარტების შესაძლებლობიდან გამომდინარე, არსებობს რისკები, რომ კომისიამ ნაცვლად მომხმარებელთა უფლებების დაცვისა, არამართლზომიერად შეზღუდოს სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლება. თავის მხრივ, გამოხატვის თავისუფლების არაპროპორციული

²⁶ ადამიანის უფლებათა და კანონის უზენაესობის გენერალური დირექტორატის დასკვნა საქართველოს კანონზე მაუწყებლობის შესახებ; საინფორმაციო საზოგადოებისა და დანამაულის წინააღმდეგ ბრძოლის დირექტორატი; სტრასბურგი; (2023); გვ. 38 ; იხ.: <https://shorturl.at/dvxDH> (ბოლო ნახვა:13.11.2023)

შეზღუდვის რისკებმა შესაძლოა თავისთავად გამოიწვიოს ჟურნალისტებისა და მედიის თვითცენზურა²⁷.

ზოგადად აღსანიშნავია, რომ ევროდირექტივიდან დებულებების ეროვნულ კანონმდებლობაში გადატანა უნდა მოხდეს ფრთხილი ანალიზის საფუძველზე, საჭიროა განისაზღვროს თუ რომელი ალტერნატივაა უმჯობესი კონკრეტული ქვეყნის სამართლებრივი ტრადიციებიდან გამომდინარე. ამიტომაც, სახელმწიფოებს ეძლევათ დისკრეცია მათზე მორგებული საუკეთესო სისტემის არჩევასთან მიმართებაში. ასეთი მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება, ევროდირექტივის მე-4 მუხლის მე-7 პუნქტის თანახმად, აუცილებელია, რომ დაინტერესებულ მხარეებს შორის კონსენსუსის შედეგად მიიღწეს. სამწუხაროდ, ცვლილებების მიღების პროცესში არ ყოფილა უზრუნველყოფილი არასამთავრობო ორგანიზაციებისა და ჟურნალისტთა პროფესიული გაერთიანების ჩართულობა. ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის აღმასრულებელი დირექტორის თქმით, საკანონმდებლო ცვლილებებში ჩანს გარკვეულ საფრთხეები, რადგან კომუნიკაციების კომისიას შეიძლება ჰქონდეს შერჩევითი დამოკიდებულება სხვადასხვა მედიასაშუალებასთან მიმართებაში²⁸.

კანონის ძველი რედაქციით, მაუწყებელთა ქცევის კოდექსისა და მაუწყებლობის შესახებ კანონის მიხედვით, მაუწყებლები მათ წინააღმდეგ მიმართულ საჩივრებს თავად განიხილავდნენ და წყვეტდნენ. ეს სისტემა არ ასახავდა მკაფიო თვითრეგულირებას, რადგან კოდექსი შემუშავებულია მარეგულირებლის მიერ და არა თავად ინდუსტრიის მიერ. თუმცა, ვინაიდან აღსრულების მექანიზმებს ადგენდნენ ინდივიდუალური მედიაკომპანიები, სხვადასხვა განმარტების მიხედვით, სისტემის მიჩნევა შესაძლებელია თვითრეგულირების ერთ-ერთ სახეობად²⁹. აღსანიშნავია, რომ მაუწყებლის შესახებ კანონის მე-2 მუხლის 3¹³ პუნქტის მიხედვით, ქცევის კოდექსი არის კანონის საფუძველზე კომისიის მიერ მიღებული ნორმატიული აქტი, რომელიც განსაზღვრავს მედიამომსახურებისა და ვიდეოგაზიარების პლატფორმის მომსახურების მიმწოდებელთა მიერ მომსახურების გაწევის წესებს. ევროპის საბჭოს ექსპერტთა დასკვნის თანახმად, ეს დებულება პრობლემურია, რადგან შემოიფარგლება კომუნიკაციების კომისიის მიერ მიღებული კოდექსით და ეწინააღმდეგება ევროდირექტივას, რომლის მიხედვით, კოდექსის შემუშავების შესაძლებლობა უნდა ჰქონდეთ ინდუსტრიის წარმომადგენლებსაც, ხოლო იდეალურ შემთხვევაში, თვითრეგულირების ორგანოს ზედამხედველობით, სამოქალაქო საზოგადოებასა და სხვა დაინტერესებული მხარეებსაც. ამგვარად, დირექტივის 4(a) მუხლის მიხედვით,

²⁷ ქუტიძე, დავით, და მალხაზ რეხვიაშვილი. 2023. სამაუწყებლო მედიისთვის ფინანსურად და შინაარსობრივად დამაზიანებელი რეგულაციები და მათი ალტერნატივები. თბილისი: Gnomon Wise, გვ. 17. იხ. <https://shorturl.at/jqwQX> ; (ბოლო ნახვა 13.11.2023)

²⁸ იქვე გვ. 17-18.

²⁹ ადამიანის უფლებათა და კანონის უზენაესობის გენერალური დირექტორატის დასკვნა საქართველოს კანონზე მაუწყებლობის შესახებ; საინფორმაციო საზოგადოებისა და დანამაულის წინააღმდეგ ბრძოლის დირექტორატი; სტრასბურგი; (2023); გვ. 7 ; იხ.: <https://shorturl.at/dvxDH> (ბოლო ნახვა:13.11.2023)

კოდექსი მიღებული უნდა იყოს დაინტერესებული მხარეების მიერ, ის მკაფიოდ უნდა აყალიბებდეს მიზნებს; უზრუნველყოფდეს ეფექტურ მონიტორინგსა და შეფასებას და ჰქონდეს შესაბამისი აღსრულება პროპორციული სანქციების ჩათვლით³⁰.

ევროდირექტივის 4a(1) მუხლი ითვალისწინებს, რომ სახელმწიფოებმა ეროვნულ დონეზე მიღებული ქვეყნის კოდექსების მეშვეობით, რამდენადაც შესაძლებელია, ხელი უნდა შეუწყონ თანარეგულირებისა და თვითრეგულირების მექანიზმების გამოყენებას. ამის მიუხედავად, 2023 წლის ოქტომბერში მაუწყებლობის შესახებ საქართველოს კანონში შეტანილი ცვლილების თანახმად, სიძულვილის ენამ კომისიის რეგულირების სფეროში გადაინაცვლა. მართალია, დირექტივა მიზნად ისახავს, სახელმწიფოების წახალისებას თვითრეგულირების ან თანარეგულირების სისტემების შესაქმნელად, მაგრამ დირექტივით ასეთი რეჟიმების შექმნის ვალდებულება არ არსებობს. მეტიც, თუკი ქვეყანაში უკვე ეფექტურად ფუნქციონირებს სხვაგვარი სისტემა, დირექტივა არ აფერხებს ამ სისტემის მუშაობას. აქედან გამომდინარე, პარლამენტის მიერ ცვლილებების დაჩქარებული წესით მიღება, რათა უხამსობის, სიძულვილის ენის და ტერორიზმისკენ მოწოდების შემცველი პროგრამისა და რეკლამის გავრცელების აკრძალვასთან დაკავშირებული დარღვევის საკითხები კომისიის რეგულირების ფარგლებში მოქცეულიყო, მაუწყებლობის შესახებ კანონის ევროდირექტივასთან შესაბამისობაში მოყვანის სურვილით ვერ აიხსნება.

ევროდირექტივის მიხედვით, სახელმწიფოებმა სათანადო საშუალებებით უნდა უზრუნველყონ, რომ მაუწყებელმა არ გაავრცელოს სიძულვილის ენა. სათანადო საშუალება, შესაძლოა იყოს, კომუნიკაციების კომისიის, როგორც ეროვნული მარეგულირებლის მიერ, სიძულვილის ენის რეგულირება, ან ამგვარი რეგულირების განხორციელება სათანადოდ შექმნილი თანარეგულირების სისტემის მეშვეობით. იქიდან გამომდინარე, რომ ერთი მხრივ, კომისიას არ ჰქონდა თვითრეგულირების შესწავლის ან ზედამხედველობის საშუალება, ხოლო, მეორე მხრივ, არსებობს კომისიაზე პოლიტიკური ზეწოლის რისკები, კომისიის მიერ სიძულვილის ენის რეგულირება იწვევს უნდობლობას. აქედან გამომდინარე, საქართველოს შემთხვევაში, რეკომენდებულია რეგულირების სათანადო საშუალებად მიჩნეული იყოს თანარეგულირების გაუმჯობესებული მექანიზმი. აქვე, აღსანიშნავია, რომ სიძულვილის ენის შემცველი რეკლამა ევროკავშირის თითქმის ყველა წევრ სახელმწიფოში ექცევა თვითრეგულირების ან თანარეგულირების მექანიზმის ფარგლებში³¹.

მედიის მართვის სხვადასხვა ფორმები ერთმანეთისგან მათში სახელმწიფოს როლით განსხვავდება. სახელმწიფოს როლი ყველაზე დიდია ნორმატიული რეგულირების პირობებში, ხოლო ყველაზე მცირე თვითრეგულირების დროს. თანარეგულირების მექანიზმის პირობებში სახელმწიფო ამა თუ იმ გზით

³⁰ იქვე, გვ. 17

³¹ იქვე გვ. 32

მონაწილეობას იღებს მართვის სისტემაში მაშინ, როცა, მაგალითად, თვითრეგულირების დროს სახელმწიფოს ასეთი როლი საერთოდ არ გააჩნია. თანარეგულირების მექანიზმი არასახელმწიფო რეგულირებას აკავშირებს სახელმწიფო რეგულირებასთან. ამ სისტემაში სახელმწიფოს როლი შეიძლება გამოიხატოს, მაგალითად, კონცეფციის დონეზე, მანდატის მინიჭებით, ან აღსრულების დონეზე. ყოველ შემთხვევაში, აღსანიშნავია, რომ თანარეგულირების მექანიზმი შეიცავს რეგულირების არასახელმწიფო და სახელმწიფო კომპონენტებს, რომელთაგან არასახელმწიფო კომპონენტი მიზნად ისახავს კონკრეტული ორგანიზაციების, წესების ან პროცესების შექმნას, რათა გარკვეული ზეგავლენა მოახდინოს გადაწყვეტილებებზე. რაც შეეხება სახელმწიფო კომპონენტს, ის ფუნქციონირებს სოციალური პროცესებისკენ მიმართული საჯარო მიზნების მისაღწევად. თანარეგულირების დროს, სახელმწიფო დისკრეციულ უფლებამოსილებას უტოვებს არასახელმწიფო მარეგულირებელ სისტემას. მაშასადამე, თანარეგულირების დროს, არსებობს თანამშრომლობა საჯარო და კერძო ინტერესებს შორის საჯარო მიზნის მისაღწევად³².

ევროდირექტივის სადეკლარაციო ნაწილის მე-14 პუნქტის მიხედვით, თანარეგულირების ყველაზე ვიწრო განმარტება გულისხმობს იურიდიულ კავშირს თვითრეგულირებასა და საკანონმდებლო ორგანოების საქმიანობას შორის. კერძოდ, თანარეგულირების დროს, მარეგულირებლის როლი განაწილებულია დაინტერესებულ მხარეებსა და მთავრობაზე ან ეროვნულ მარეგულირებლებსა და სხვა ორგანოებზე. მნიშვნელოვანია, წევრ სახელმწიფოებს თანარეგულირებისა და თვითრეგულირების მექანიზმების ფარგლებში ჰქონდეთ კონკრეტული, დათვლადი და შეფასებადი კრიტერიუმები, ამოცანები და მიზნები. თუკი თვითრეგულირებისა და თანარეგულირების მექანიზმების მეშვეობით ვერ ხერხდება მიზნების მიღწევა, ამ შემთხვევაში, დირექტივა მიუთითებს მარეგულირებლის მხრიდან ჩარევის შესაძლებლობის აუცილებლობაზე³³. თუმცა, ამ შემთხვევაში, საქართველოს პარლამენტის მიერ საკანონმდებლო ცვლილებების შედეგად მიღებული რეგულირება ბუნდოვანია, ხოლო რეგულირების მექანიზმი არც დისკრეციულ უფლებამოსილებას უტოვებს არასახელმწიფო მარეგულირებელ სისტემას და არც თანამშრომლობაზეა დაფუძნებული. მედიის მართვის ასეთი ფორმა არ არის თანარეგულირებისა და თვითრეგულირების მექანიზმების წახალისებისკენ მიმართული, ვინაიდან არ ადგენს კონკრეტულ შეფასებად კრიტერიუმებსა და ამოცანებს.

თანარეგულირების სისტემის წახალისებისკენ მიმართული ნაბიჯი იქნებოდა ახალი თანარეგულირების ეფექტიანი მექანიზმის შექმნა. აღსანიშნავია, რომ 2022 წლის 28 ნოემბერს პარლამენტში ოპოზიციამ სამოქალაქო საზოგადოებასთან თანამშრომლობის შედეგად წარადგინა ალტერნატიული წინადადება

³² "European Co-Regulation Practices in the Media"; Wagner Hatfield; 2017; P. 19-21; იხ. <https://shorturl.at/IKNUX> (ბოლო ნახვა 13.11.2023)

³³ „ფაქტ-მეტრის მოსაზრება მაუწყებლობის შესახებ საქართველოს კანონში შეტანილ ცვლილებებზე“; 03.11.2023; იხ. <https://shorturl.at/iyEJP> (ბოლო ნახვა 13.11.2023)

თანარეგულირების ეფექტიანი მექანიზმის შესაქმნელად. წინადადება მიზნად ისახავდა თვითრეგულირების მექანიზმის ფარგლებში მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრების შესაძლებლობას სამოქალაქო საზოგადოების წევრებისგან შემდგარ „საერთო სააპელაციო საბჭოში“, ხოლო კომუნიკაციების კომისიას საბჭოს გადაწყვეტილებების აღსრულებაზე ზედამხედველობის ფუნქცია დაეკისრებოდა. 2023 წლის 30 ივნისს პარლამენტის მიერ დაჩქარებული წესით მიღებულ ცვლილებებში ნაწილობრივ იყო გათვალისწინებული ევროპის საბჭოს საექსპერტო დასკვნა და ევროკავშირის შუალედური შეფასება, მაგრამ მაშინ სიძულვილის ენის რეგულირება თვითრეგულირების მექანიზმის ფარგლებში მოექცა, ხოლო სამოქალაქო სექტორის მიერ შეთავაზებული თანარეგულირების ალტერნატიული მექანიზმი არ შემუშავებულა³⁴. ვინაიდან, 2023 წლის 19 ოქტომბრის ცვლილებებით, საქართველოს პარლამენტი ისევ 2022 წლის 22 დეკემბრის მოდელს, კერძოდ, თვითრეგულირების მექანიზმის ფარგლებში მიღებული გადაწყვეტილებების კომუნიკაციების კომისიაში ან სასამართლოში გასაჩივრების შესაძლებლობას დაუბრუნდა, კვლავ დადგა საჭიროება, რომ შეიქმნას უკეთესი რეგულირების ფორმა თანარეგულირების ალტერნატიული ეფექტური მექანიზმის სახით.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ დადებითად უნდა შეფასდეს მაუწყებლობის შესახებ კანონის ევროდირექტივასა და ევროპის საბჭოს საექსპერტო დასკვნასთან შესაბამისობაში მოყვანის მცდელობა. თუმცა, საკანონმდებლო ცვლილებებით შემოღებული არასრულწლოვანთა დაცვისა და სიძულვილის ენის შესახებ გადაწყვეტილებების გასაჩივრების შესაძლებლობა მნიშვნელოვანად წინადადგმული ნაბიჯი იქნებოდა დამოუკიდებელი კომუნიკაციების კომისიის არსებობის პირობებში და თანარეგულირების ალტერნატიული ეფექტური მექანიზმის ფარგლებში. მოცემულ შემთხვევაში, საკანონმდებლო ცვლილებები დაკავშირებულია გამოხატვის თავისუფლების უკანონოდ შეზღუდვის რისკებთან.

რეკომენდაციები

- მნიშვნელოვანია, შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებების მიღება საქართველოს კომუნიკაციების კომისიის დამოუკიდებლობის უზრუნველსაყოფად, მათ შორის: უნდა შეიცვალოს კომისიის წევრების არჩევისა და თანამდებობიდან გათავისუფლების წესები, რათა კომისიის წევრები არ იყვნენ თანამდებობისთვის შერჩეულნი ან გათავისუფლებულნი პოლიტიკური ნების არსებობის გამო; საჭიროა კანონმდებლობიდან იმ მუხლის ამოღება, რომელიც კომისიის წევრის დაკავების, დაპატიმრების, ან გაჩხრეკის შესაძლებლობას მხოლოდ საქართველოს პარლამენტის თანხმობით ადგენს; კომისიის წევრების შესარჩევად, მნიშვნელოვანია გათვალისწინებული იყოს ელექტრონული კომუნიკაციების შესაბამის სფეროთა რეგულირების გამოცდილება; რეკომენდირებულია კომისიის წევრის უფლებამოსილების ვადის შემცირება ან მისი 6 წლის ვადით

³⁴ იქვე.

დანიშვნა ხელმეორედ არჩევის შესძლებლობის გარეშე; რეკომენდირებულია კომისიის წევრთა რაოდენობის გაზრდა და გადაწყვეტილებათა სიითი შემადგენლობის უმრავლესობით მიღება; რეკომენდირებულია კომისიამ თავად დააორგანიზოს საკუთარი ფინანსური საქმიანობის ყოველწლიური დამოუკიდებელი აუდიტი.

- რეკომენდებულია რეგულაციები გახდეს მეტად ნათელი და განჭვრეტადი. ამისათვის, საჭიროა კანონმდებლობაში შემოღებული შეზღუდვებისა თუ კონკრეტული ფრაზების უკეთ განმარტება ან ჩანაცვლება. ასევე, მნიშვნელოვანია, აიკრძალოს რეკლამა, რომელიც ლახავს პირის ღირსებას, მაგრამ არ უნდა აიკრძალოს უხამსი ქმედებისა და შეურაცხმყოფელი ენის შემცველი პროგრამების განთავსება. აკრძალვის ნაცვლად, უმჯობესია მსგავსი პროგრამების შეზღუდვა, მაგალითად, პროგრამის დროის ისეთ მონაკვეთში ჩვენებით, როცა, სავარაუდოდ, მას ბავშვები ვერ ნახავენ. მხოლოდ პორნოგრაფია უნდა იყოს ნაჩვენები კოდირებული ფორმით.
- რეკომენდებულია მედიის მართვის რეგულირება მოხდეს თანარეგულირების მექანიზმის ფარგლებში, რათა უხამსობასა და სიძულვილის ენასთან დაკავშირებული რეგულაციები გახდეს თანარეგულირების ობიექტი. ამისათვის უნდა შეიქმნას თანარეგულირების ალტერნატიული ეფექტური მექანიზმი. მნიშვნელოვანია, რომ ეს პროცესი დაფუძნებული იყოს თანამშრომლობაზე და მოიცვას ყველა დაინტერესებული მხარე.

ადამიანის უფლებათა ცენტრი პროექტის მიზნებიდან გამომდინარე, უფლებადარღვეული ნებისმიერი ჟურნალისტური საქმიანობით დაკავებულ პირს სთავაზობს უფასო იურიდიულ დახმარებას, ამასთანავე, აწარმოებს მედიის წარმომადგენლების უფლებათა დარღვევის მონიტორინგს. აქედან გამომდინარე, განცხადება შედგენილია ბოლო პერიოდში „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის მიზანშეწონილობის შესაფასებლად.

განცხადება მომზადდა ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით და გერმანიის ეკონომიკური განვითარებისა და თანამშრომლობის ფედერალური სამინისტროს თანადაფინანსებით, პროექტის „ხარისხიანი მედია და მედიის გაცნობიერებული მოხმარება მედეგი საზოგადოებისთვის“ (ConMeCo) ფარგლებში, რომელსაც ადამიანის უფლებათა ცენტრი, დოიჩე ველე აკადემიასთან და მედიის განვითარების ფონდთან თანამშრომლობით ახორციელებს.

მასალის შინაარსი ადამიანის უფლებათა ცენტრის პასუხისმგებლობაა და არ გამოხატავს ევროკავშირის და გერმანიის ფედერალური სამინისტროს შეხედულებებს.

ადამიანის უფლებათა ცენტრი

შენიშვნა:

„ადამიანის უფლებათა ცენტრის“ მიერ მომზადებული განცხადების თავდაპირველ ვერსიაში შესულია ცვლილება. კერძოდ, „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის ახალი რედაქციით, კანდიდატთა სიის გამოქვეყნების შემდეგ კანდიდატურების შესარჩევად საქართველოს პრემიერ-მინისტრის ბრძანებით იქმნება საკონკურსო კომისია. საკონკურსო კომისია კანდიდატების განაცხადებისა და გასაუბრების შედეგების მიხედვით, კანონით განსაზღვრული საკვალიფიკაციო მოთხოვნებისა და კანდიდატურების შერჩევის პრინციპების გათვალისწინებით საქართველოს მთავრობას წარუდგენს რეკომენდაციას წარსადგენი კანდიდატების შესახებ. კანონის ძველი რედაქციით, ამგვარი რეკომენდაციის წარდგენის შესახებ ჩანაწერი არ არსებობდა. წინამდებარე შენიშვნაში მითითებული ინფორმაცია საკანონმდებლო ცვლილების შედეგად შეიცვალა. „ადამიანის უფლებათა ცენტრის“ მიერ მომზადებული განცხადების თავდაპირველ ვერსიაში ეს ჩანაწერი არ არსებობდა.